სლოვაკეთის გამოცდილების ანალიზი

# სამეწარმეო განათლების ეკოსისტემის გავლენა სამეწარმეო განათლებაზე

მერი ქადაგიძე, ნოემი ფორტი

2022

მერი ქადაგიძე, ნოემი ფორტი

# სამეწარმეო განათლების ეკოსისტემის გავლენა სამეწარმეო განათლებაზე

## სლოვაკეთის გამოცდილების ანალიზი

Empowering People for Change

Visegrad Fund

ნაშრომი შექმნილია ვიშეგრადის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „მეწარმეობის სწავლება სკოლებში - PEERS“ ფარგლებში. პროექტი გულისხმობს ვიშეგრადის ქვეყნებში მეწარმეობის სწავლებასთან დაკავშირებული საუკეთესო გამოცდილებებისა და პრაქტიკების გაზიარებასა და საქართველოში დანერგვას.

The case study was created within the framework of the project "Potentials of Entrepreneurship Education in Schools – PEERS”. Project aims to transfer best practices and experiences on applying entrepreneurship education in schools in Visegrad countries to Georgia.

# შესავალი

ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ევროპის მოქალაქეებისა და ორგანიზაციების სამეწარმეო უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერება. მეწარმეობა, ერთიანი ევროპული გაგებით, არამხოლოდ ეკონომიკურ აქტივობას და ახალი ბიზნესის წამოწყებას მოიაზრებს, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. ევროკომისიის[1] მოთხოვნაა თითოეულ ახალგაზრდას „სავალდებულო განათლების დასრულებამდე ერთხელ მაინც მიეცეს პრაქტიკული სამეწარმეო საქმიანობის გამოცდილების მიღების შესაძლებლობა". აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამეწარმეო განათლების უფრო ფართო კონტექსტში გააზრება. ამასთან, მნიშვნელოვანია, სამეწარმეო განათლების ეკოსისტემის წევრების გააქტიურება და მათი თანამშრომლობის წახალისება.

სამეწარმეო განათლების ეკოსისტემის პერსპექტივიდან ანალიზის მიდგომა ყურადღებას ამახვილებს სამეწარმეო სწავლების გარემოზე, სკოლის შიდა და გარე თემს შორის მჭიდრო და ძალდაუტანებელი თანამშრომლობის მნიშვნელობაზე. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)[2] მიერ შემუშავებული სამეწარმეო განათლების ეკოსისტემის მოდელის შესაბამისად, სამეწარმეო განათლების მთელი ეკოსისტემა ურთიერთდაკავშირებულია და სკოლები მოქმედებენ როგორც ღია სისტემები. მაგალითად, გარე ინიციატივას, სტიმულს, აღიარებას ან პედაგოგიურ თუ მეთოდურ მხარდაჭერას შეუძლია მასწავლებელს სამეწარმეო ინიციატივის შექმნისკენ უბიძგოს. მეორე მხრივ, მასწავლებელთა შინაგანმა მოტივაციამ და მათმა სასწავლო პრაქტიკამ შეიძლება ასევე შთააგონოს კოლეგები ან/და საჯარო პოლიტიკის შემქმნელი სახელმწიფო სტრუქტურები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მხარი დაუჭირონ მეწარმეობის სწავლებას.

# სამეწარმეო განათლების ეკოსისტემები სლოვაკეთში

წინამდებარე ნაშრომში აღვწერთ სლოვაკეთის სამეწარმეო განათლების ეკოსისტემას. ჩვენი ამოცანაა, გავეცნოთ, რამდენად შეუძლია ეკოსისტემას სამეწარმეო სწავლების პროცესის გაუმჯობესება საგანმანათლებლო სისტემაში და ადვოკატირების რა გზებს იყენებენ გარე ლობისტები სამეწარმეო განათლების მხარდაჭერისა და პოპულარიზაციისთვის.

[1] ევროპული კომისია (Ed.). (2012). კომისიის კომუნიკაცია ევროპულ პარლამენტთან, საბჭოსთან, ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან და განათლების რეგიონული გადააზრების კომიტეტთან: ინვესტირება უნარებში უკეთესი სოციალ-ეკონომიკური შედეგებისთვის. ევროკომისია.
[2] მიულერი, ს., & ტუტაინი, ო. (2015). სკოლა საზღვრებს გარეშე და მისი ეკოსისტემა. OECD. https://www.oecd.org/cfe/leed/Outward-Looking-School-and-Ecosystem.pdf

# მეწარმეობა სლოვაკეთის კონტექსტში

## ეკონომიკური პროფილი



### სლოვაკეთის რესპუბლიკის

- **მოსახლეობა** (2020): **5.5 მილიონი** (გაერო)
- **მშპ** ერთ სულ მოსახლეზე (2019; PPP ინტერნაციონალური $): **32.18 ათასი** (IMF)

დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, სლოვაკეთს მეწარმეობის განვითარების ხანმოკლე ისტორია და გამოცდილება აქვს.[3] პოსტ-საბჭოთა კონტექსტის გათვალისწინებით, ძლიერი სოციალური ძვრები მოქალაქეთა ცხოვრებაზე ძალიან ნელა აისახა, განსაკუთრებით კერძო საკუთრების განკარგვისა და ბიზნესის მართვის მიმართულებით.[4] მიუხედავად ამისა, სლოვაკეთის მთავრობა აღიარებს მეწარმეობის წახალისების მნიშვნელოვნებას და ცდილობს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების გზით, დაეხმაროს მეწარმეებს ბიზნესის და მთლიანად სექტორის განვითარებაში. გაწეული ძალისხმევის შედეგად, სლოვაკეთი მეწარმეობის გლობალური მონიტორის (GEM), მსოფლიოში მოწინავე სამეწარმეო კვლევის მიხედვით,  მონაწილე სახელმწიფოებს შორის  შორის 35-ე ადგილს იკავებს.[5]

სლოვაკეთის მოსახლეობის უმრავლესობა (64%) დადებითად არის განწყობილი მეწარმეებისა და მეწარმეობის მიმართ, ხოლო 70% ფიქრობს, რომ სლოვაკეთში მეწარმეობა კიდევ უფრო მეტად უნდა განვითარდეს.[6] ამასთან, სლოვაკეთი იმედისმომცემ შედეგებს აჩვენებს მოწყვლად სამიზნე ჯგუფებზე ორიენტირებული მიზნობრივი სამეწარმეო პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სამეწარმეო პროგრამების ხელმისაწვდომობას ქალებისა და ახალგაზრდებისთვის.

სლოვაკეთის რესპუბლიკას შემუშავებული არ აქვს სამეწარმეო უნარების განვითარების მიზნობრივი ეროვნული სტრატეგია. თუმცა, სამეწარმეო წიგნიერება ახალგაზრდული სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია. ამასთან, სლოვაკეთის 2020 წლის ეროვნული რეფორმის პროგრამა მეწარმეობის სწავლების გაძლიერებას, განათლების და შრომის ბაზრის დაკავშირებისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს.[7]

გარდა ამისა, სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება, სასკოლო დონეზე, სასწავლო გეგმის გამჭოლი ამოცანაა. დაწყებით საფეხურზე  სამეწარმეო უნარების განვითარება სავალდებულო საგნის - „შრომითი განათლების“ ფარგლებში მიმდინარეობს. საშუალო საფეხურზე აღნიშნული კომპეტენციები ინტეგრირებულია სავალდებულო საგნებში:

[4] ზავოდსკა, ა., შრამოვა, ვ., & კონეჩნი, ვ. (2019). სამეწარმეო განათლების განვითარება: ჟილინას უნივერსიტეტის მაგალითი. კომუნიკაციები კომპიუტერულ და საინფორმაციო მეცნიერებებში, 313–324. https://doi.org/10.1007/978-3-030-20798-4_27

[5] გლობალური მეწარმეობის მონიტორი . (2021). გლობალური მეწარმეობის მონიტორი 2020/2021 ეკონომიკური პროფილის გლობალური ანგარიში- სლოვაკეთი. https://www.gemconsortium.org/report

[6] GO4insight. (2019, სექტემბერი). Vnímanie podnikateľov na slovensku 2019 [კვლევის პრეზენტაცია]. Vnímanie podnikateľov na slovensku 2019, ბრატისლავა, სლოვაკეთი. https://www.zps.sk/assets/files/2019-11-27-vnimanie-podnikatelov-prieskum.pdf

[7] სლოვაკეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო. (2020, მაისი). სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნული რეფორმის პროგრამა 2020. https://www.mfsr.sk/files/en/finance/institute-financial-policy/strategic-documents/national-reform-program/npr_2020_final_en.pdf

„ტექნოლოგია“, „შრომის სამყარო“ და „მოქალაქეობის საფუძვლები“. სამეწარმეო განათლების სამიზნე ჯგუფს უმთავრესად საშუალო სკოლები და პროფესიული სასწავლებლები (VET) წარმოადგენს, ხოლო, დაწყებითი სკოლები სამეწარმეო სწავლა-სწავლების პროცესში ნაკლებად მონაწილეობენ.

ფორმალურ განათლებასთან ერთად, მეწარმეობის შესახებ ცოდნის მიღებაში ახალგაზრდებს რამდენიმე ორგანიზაცია ეხმარება, მათ შორისაა Junior Achievement Slovensko, არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებს ახალგაზრდებისთვის და ხელს უწყობს მჭიდრო პარტნიორობას ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის.[8]

მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად სულ უფრო მეტი სკოლა ცდილობს დანერგოს სწავლების ინოვაციური მიდგომები, სკოლის დირექტორების მნიშვნელოვანი ნაწილი ეჭვქვეშ აყენებს კურსდამთავრებულებისთვის სამეწარმეო უნარების მნიშვნელოვნებას. ასევე, საგულისხმოა ბიზნეს სექტორსა და სკოლებს შორის თანამშრომლობის არასაკმარისი პრაქტიკა. აღნიშნულზე მიანიშნებს გამოკითხვის „it makes sense“-ის შედეგები, რომლის მიხედვითაც, გამოკითხული სკოლების მხოლოდ 13% თანამშრომლობს გარე აქტორებთან და ცდილობს სასწავლო გამოცდილების „რეალურ სამყაროსთან დაკავშირებას“.

საგულისხმოა, რომ სასკოლო სტაჟირების პრაქტიკა განვითარებულია მხოლოდ პროფესიულ სასწავლებლებსა და სამრეწველო საწარმოებს შორის (განსაკუთრებით ავტომობილების წარმოებაში), მაშინ, როცა სხვა ტიპის სკოლები, მაგალითად, გიმნაზიები არ გამოირჩევიან ენთუზიაზმით ითანამშრომლონ მეწარმეებთან და კომპანიებთან, შექმნან სტაჟირების პროგრამები, სკოლებში მოიწვიონ მეწარმეები და ამ გზით დააინტერესონ მოსწავლეები.[9]

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სკოლებში მეწარმეობის სწავლების მხარდამჭერი გარე ინიციატივების გაგრძელება და გაფართოება კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

შემდეგ თავში განვიხილავთ კონკრეტულ შემთხვევას, რომელიც აღწერს **სლოვაკეთის მეწარმეთა ასოციაციი (ZPS) მიერ ხარისხიანი სამეწარმეო განათლების ადვოკატირების გამოცდილებას, კონკრეტულ მიდგომებსა და აქტივობებს.**

# სამეწარმეო განათლების ეკოსისტემები სლოვაკეთში

EAS
ENTREPRENEURS ASSOCIATION OF SLOVAKIA

სლოვაკეთის მეწარმეთა ასოციაცია (ZPS) სლოვაკეთის თანამედროვე ისტორიაში კერძო მეწარმეთა პირველი და უძველესი ბიზნეს ასოციაციაა, რომელიც მეწარმეთა ინტერესებს 1989 წლიდან იცავს.[10] სლოვაკეთის მეწარმეთა ასოციაციის (EAS) ადვოკატირების ძირითადი მიმართულებაა ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება, რეგულაციებისგან გათავისუფლების გზით. გარდა ამისა, სლოვაკეთის მეწარმეთა ასოციაცია

[8] SIEDAS. (2019). სამეწარმეო განათლების იმპლემენტაციის რეალობა მონაწილე ქვეყნებში (სლოვაკეთი). ერასმუს პლუსი. http://ygeneration.eu/assets/files/Slovakia.pdf

[9] ინფოგრაფიკა: სამეწარმეო და ბიზნეს განათლება. (2020, 29 მარტი). https://www.Zps.Sk/Novinky/2020/Infografika-Podnikavost-Podnikatelske-Vzdelavanie. გადამუშავებული 24 მაისი, 2022, from https://www.zps.sk/novinky/2020/infografika-podnikavost-podnikatelske-vzdelavanie

[10] სლოვაკეთის ბიზნეს ასოციაცია. (2019). რა არის ZPS-სლოვაკეთის ბიზნეს ასოციაცია. გადამუშავებული 2022, წყაროდან https://www.zps.sk/o-nas/co-je-zps

(EAS) ზრუნავს ბიზნესისა და მეწარმეების საზოგადოებრივი იმიჯის გაუმჯობესებაზე, ბიზნეს კონკურსების მოწყობის, მეწარმეთა წარმატების ისტორიების გაცნობის გზით.

და ბოლოს, ასოციაცია ხელს უწყობს უწყვეტი და შედეგზე ორიენტირებული დისკუსიების გამართვას მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების ირგვლივ, როგორიც არის დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების გამოწვევები, დემოგრაფიული ცვლილებები, მიგრაცია, საგანმანათლებლო სისტემის და კონკრეტულად, სამეწარმეო განათლების ხარისხის გაუმჯობესება და სხვ.

ასოციაციის მიდგომა, ხელი შეუწყოს განათლების ყველა საფეხურზე სამეწარმეო განათლების პოპულარიზაციისა და მეწარმეობის სწავლების ხარისხის ზრდას, 2 ძირითად კომპონენტს მოიცავს:




# ადვოკატირება

სლოვაკეთის მეწარმეთა ასოციაციის (EAS) ადვოკატირების კამპანიის მიზანია სამეწარმეო განათლების მიმართულებით არსებული გამოწვევების ანალიზი და კვლევებზე ორიენტირებული პოლიტიკის მხარდაჭერა. მეორე მხრივ, ეკოსისტემის წევრთათვის დისკუსიის, გამოცდილების გაზიარებისა და ქსელური მუშაობისთვის საჭირო პლატფორმის შექმნა. ამ მიმართულებით ორგანიზაცია შემდეგ საქმიანობებს ახორციელებს:

**სამეწარმეო განათლებისა და მეწარმეობის ეკოსისტემის კვლევა:** სლოვაკეთის მეწარმეთა ასოციაცია (EAS) მხარს უჭერს სამეწარმეო განათლებასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და უფრო კომპლექსური საკითხების (მაგ. მეწარმეობის იმიჯი) შესწავლას. მაგალითად, 2019 წლის ოქტომბერში, ასოციაციამ კვლევითი ორგანიზაციის **Go4insight**-თან პარტნიორობით, ჩაატარა სლოვაკეთის რესპუბლიკის 15-79 წლის ასაკის მოსახლეობის წარმომადგენლობითი გამოკითხვა, მეწარმეობის იმიჯის და სამეწარმეო განათლების შესახებ. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ასოციაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კვლევის შედეგების გადამუშავებას და სამიზნე ჯგუფთან კომუნიკაციას. ამ მიზნით, კვლევის ძირითადი მიგნებები ქვეყნდება ასოციაციის ვებ-გვერდზე მარტივი, მოკლე და მკითხველზე მორგებული ინფოგრაფიკებისა და პრეზენტაციების გამოყენებით.[11]

**პლატფორმის შექმნა გამოცდილების გაზიარებისა და საჯარო განხილვებისთვის:** ასოციაციის ერთ-ერთი პრიორიტეტია საჯარო დისკუსიის წახალისება მნიშვნელოვანი სოციალური საკითხების, მათ შორის განათლების შესახებ. ამ მიზნით, EAS აწყობს საჯარო სემინარებს და ტრენინგებს, რათა ხელი შეუწყოს სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესის ტრანსფორმაციას და დაეხმაროს მასწავლებლებს სამეწარმეო უნარების სწავლების გაუმჯობესებაში.

[11] ინფოგრაფიკები: სამეწარმეო და ბიზნეს განათლება. (2020). ZPS. გადამუშავებული მაისი 2022, წყაროდან https://www.zps.sk/novinky/2020/infografika-podnikavost-podnikatelske-vzdelavanie

დასახული მიზნის მისაღწევად, ასოციაციამ, სლოვაკეთის ბიზნესის სააგენტოსთან, სლოვაკეთის ახალგაზრდა მეწარმეთა ასოციაციასთან და ფინანსური და ბიზნეს განათლების ინსტიტუტთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ყოველწლიურ ფორუმს სამეწარმეო განათლების შესახებ. ფორუმის მიზანია 21-ე საუკუნის კომპეტენციების, მათ შორის, მეწარმეობის კომპეტენციის მნიშვნელობის წარმოჩენა მომავალი გამოწვევების დაძლევის კონტექსტში.

ფორუმში მონაწილეობა თავდაპირველად მხოლოდ სკოლების ლიდერებს შეეძლოთ, თუმცა დღესდღეობით, ფორუმი აერთიანებს სამეწარმეო განათლების სრულ ეკოსისტემას: ინოვატორ მასწავლებლებს, საგანმანათლებლო და სამეწარმეო საზოგადოებათა წარმომადგენლებს. კერძო სექტორის და საგანმანათლებლო საზოგადოების წარმომადგენლები მსჯელობენ სწავლა-სწავლების მიდგომების, პრაქტიკული უნარ ჩვევებისა და მოსწავლეების ცხოვრებისთვის მომზადების შესაძლებლობების შესახებ. კონფერენცია ამ ფორმატით 2022 წელს უკვე მეოთხედ გაიმართება.[12]

## გაძლიერება: შესაძლებლობების შექმნა და „ინვესტირება მოქმედებაში“

ასოციაცია, ადვოკატირების კამპანიასთან ერთად, ცდილობს სკოლების პირდაპირი მხარდაჭერის მექანიზმის განვითარებას. ამ თვალსაზრისით, 2 საკვანძო კომპონენტის გამოყოფა შეგვიძლია:

**პირველი კომპონენტი მიზნად ისახავს** დაწყებითი და საშუალო საფეხურის სხვადასხვა საგნების მასწავლებელთა უზრუნველყოფას მეწარმეობის უახლესი მასალებითა და მეთოდური სახელმძღვანელოებით. ამ მიზნით, ასოციაციამ, სლოვაკეთის ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან და ჰაიეკის ფონდთან ერთად, ევროპული სოციალური ფონდის თანადაფინანსებით, განახორციელა სახელმწიფო მასშტაბის უნიკალური პროექტი „ხარისხი სკოლაში - წარმატება ცხოვრებაში“. პროექტი მიზნად ისახავდა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ეკონომიკური საქმიანობის და ბიზნეს სექტორის საჭიროებების ასახვას საშუალო სკოლების სასწავლო პროგრამებში. ასევე, სკოლების უზრუნველყოფას ხარისხიან სასწავლო რესურსებით.

პროექტი 2007 წლის იანვარში დაიწყო და თითქმის ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. გადამზადდა საშუალო სკოლის 1500 მასწავლებელი, ხოლო სკოლებმა მიიღეს მეწარმეობასთან დაკავშირებული 150 გაკვეთილისა და 3 DVD-სგან შემდგარი 6 მოდული. პროექტის ფარგლებში შეიქმნა პორტალი www.svetvzdelavania.sk, რომელიც მოსწავლეებს და მასწავლებლებს სთავაზობს ციფრულ რესურსებს, გაკვეთილებს და თამაშით სწავლების სხვადასხვა შესაძლებლობებს. პროექტმა სასკოლო საზოგადოების მოწონება დაიმსახურა და „ევროპული ბიზნეს დაჯილდოება 2-ის“ კონკურსის ეროვნული ტურის ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა.[13]

**მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი კომპონენტია** სასკოლო პროექტების დაფინანსების სქემა. ასოციაცია აფინანსებს პროექტებს, რომელთა მიზანია სამეწარმეო უნარების განვითარება ადრეული ასაკიდან, ასევე სკოლებსა და ბიზნესებს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერა, მეწარმეობის წახალისება და ამ დარგის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

[12] როგორ მოვამზადოთ კურსდამთავრებულები მომავალი სამყაროსთვის. (2020). ZPS. გადამუშავებული მაისი 2022, წყაროდან https://www.zps.sk/novinky/2020/pripravujme-absolventov-pre-svet-ktory-pride

[13] EUROACTIVE. (2016, 11 მაისი). Kvalitní v škole – úspešní v živote. euractiv.sk. გადამუშავებული მაისი, 2022, წყაროდან https://euractiv.sk/section/podnikanie-a-praca/news/kvalitni-v-skole-uspesni-v-zivote-012000/

2022 წლისთვის ორგანიზაციამ კონკურსის საფუძველზე გამოავლინა გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული 12 პროექტი. შერჩეული პროექტები ორიენტირებულია მოსწავლეების მეწარმეობის, კრიტიკული აზროვნების და სოციალური უნარების განვითარებაზე, ინოვაციური სწავლებისა და აქტივობების ინტეგრირებაზე სასწავლო პროცესში.[14] პროექტები განხორციელდება 2022-2023 აკადემიური წლის ბოლომდე.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ასოციაციის საქმიანობის ანალიზის შედეგად, გამოვყავით 2 საკვანძო კომპონენტი, რომელთა თანადროულად გამოყენებაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სამეწარმეო განათლების ხარისხს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური პროფილის, მეწარმეობის განვითარების დონისა და ეკოსისტემის შესაძლებლობების მიუხედავად.

მიგვაჩნია, რომ განხილული მიდგომა და წარმოდგენილი მაგალითები შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს როგორც პოლიტიკის შემქმნელებისთვის, ასევე სამოქალაქო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რათა დაინახონ პარტნიორობის დამატებითი ღირებულება ეკოსისტემაში და შეიმუშაონ უფრო ინკლუზიური და მრავალგანზომილებიანი მიდგომები რესურსების მობილიზებისა და ეკოსისტემის განვითარებისთვის.

[14] მეწარმეები ეხმარებიან სკოლებს განათლების 21-ე საუკუნის მოთხოვნებთან ადაპტირებაში(2020). ZPS. გადამუშავებული 24 მაისი, 2022, წყაროდან https://www.zps.sk/novinky/2021/podnikatelia-pomahaju-prisposobovat-vzdelavanie-na-skolach-potrebam-21-storocia

# ADVOCATE FOR ENTREPRENEURSHIP EDUCATION ECOSYSTEM

## THE CASE OF SLOVAKIA

The development of the entrepreneurial capacity of European citizens has been one of the key policy objectives for the EU and the member states for many years. The common European understanding of entrepreneurship is not only related to economic activities and business creation but more widely to all areas of life and society. Following this, European Commission[15] demands all young people to "benefit from at least one practical entrepreneurial experience before leaving compulsory education". Since any type of entrepreneurship activity is embedded in a real-life context, entrepreneurial education needs to be taken from a broader perspective on learning and connect a wide spectrum of actors from inside and outside the school, who are deliberately or unintentionally engage in a collaborative learning process and create an educational ecosystem.

Analyzing entrepreneurship education through the ecosystem perspective has been claimed as an approach to addressing an environment of entrepreneurial learning and demonstrating the strong and unchained connections between internal and external communities. The model for the 'entrepreneurship education ecosystem' developed by OECD[16] suggested, that the entire entrepreneurship education ecosystem is interlinked and the schools are operating as open systems. As an example, the external initiative, stimulus or or the pedagogical and methodological support may stimulate teachers to create more entrepreneurial initiatives. Teachers' intrinsic motivation resulting in outstanding initiatives,  may also inspire colleagues or other schools and public policy organizations to develop similar activities.

In this paper, we look at ecosystems of entrepreneurial education in Slovakia with the overall objective to see the how the ecosystem can improve entrepreneurial education and what are the extensive motivations and consequences for the external lobbyist such as different actors in the system.

[15] European Commission (Ed.). (2012). *communication from the commission to the european parliament, the council, the European economic and social committee and the committee of the regions rethinking education: Investing in skills for better socio-economic outcomes. European Commission.*

[16] Mueller, S., & Toutain, O. (2015). The outward looking school and it ecosystem. OECD. https://www.oecd.org/cfe/leed/Outward-Looking-School-and-Ecosystem.pdf

# ENTREPRENEURIAL EDUCATION CONTEXT IN SLOVAKIA

**ECONOMY PROFILE**



## Slovak Republic

- **Population** (2020): **5.5 million** (UN)
- **GDP** per capita (2019; PPP, international $): **32.18 thousand** (IMF)

Entrepreneurship in Slovakia has a shorter tradition compared with states of Western Europe[17]. Strong social changes have been manifested in the life of citizens very slowly, in the post soviet context, especially in terms of winning and managing property and business.[18] Although, the Slovak government recognizes the importance of promoting entrepreneurship and taking proactive measures to improve the regulatory environment for businesses and the sector. All those efforts brought the Slovak Republic up to 35th among GEM economies in the Global Entrepreneurship Monitor (GEM)[19], the world's foremost study on entrepreneurship.

Slovakia has shown promising results in terms of developing tailored entrepreneurship policies and programs that are increasingly available for key target groups such as women and youth. The majority of the population of Slovakia perceives entrepreneurs in Slovakia positively - up to 64% are in favour of positive perception. As many as 70% of the population of the Slovak Republic think that entrepreneurship in Slovakia should improve.[20]

The Slovak Republic has not yet developed a separate national strategy directly targeted at entrepreneurial skills development. Nevertheless, entrepreneurial literacy is part of the youth strategy of the Slovak Republic as well as The National Reform Programme of Slovakia for 2020 sets entrepreneurship, and the need to create more linkages between education, labor market, as one of its priorities.[21]

Entrepreneurship education is a cross-curricular objective at all school levels. In primary schools, entrepreneurship competencies are developed in the compulsory subject "Work education", in secondary education they are embedded in the compulsory subjects "Technology", "World of work" and "Civics". The focus of entrepreneurship education is predominantly on

[17] Kozáková, J. (2018). What is lacking in the entrepreneurship education in slovakia? International Scientific Days 2018. Towards Productive, Sustainable and Resilient Global Agriculture and Food Systems: Proceedings. https://doi.org/10.15414/isd2018.s9.06

[18] Závodská, A., ŠRamová, V., & Konečný, V. (2019). Developing Entrepreneurship Education: Case of the University of Žilina. Communications in Computer and Information Science, 313–324. https://doi.org/10.1007/978-3-030-20798-4_27

[19] Global Entrepreneurship Monitor. (2021). Global entrepreneurship monitor 2020/2021 global report economy profile- slovakia. https://www.gemconsortium.org/report

[20] GO4insight. (2019, September). Vnímanie podnikateľov na slovensku 2019 [Research Presentation]. Vnímanie podnikateľov na slovensku 2019, Bratislava, Slovakia. https://www.zps.sk/assets/files/2019-11-27-vnimanie-podnikatelov-prieskum.pdf

[21] 21Ministry of Finance of the Slovak Republic. (2020, May). National reform programme of the slovak republic 2020. https://www.mfsr.sk/files/en/finance/institute-financial-policy/strategic-documents/ national-reform-program/npr_2020_final_en.pdf

secondary schools and VET, while primary schools are less involved in entrepreneurial teaching and learning. Several organizations are helping young people to acquire knowledge about entrepreneurship. These include Junior Achievement Slovensko, a non-profit organization that offers development programs to applicants and builds close partnerships with domestic and international organizations.[22]

Even though, more and more schools have been trying to introduce the innovative teaching approaches,[23] a significant proportion of school principals doubt that entrepreneurial skills and entrepreneurship mindset is the utmost important for the gradutes. It has also been witnessed that school -business partnernship is limited. **According to the "It makes sense" survey, only 13% of schools have cooperated with the "real world"**. The school-internship praticies are developed only between vocational schools and industrial enterprises (especially car manufacturers), but other types of schools, such as grammar schools, for instance, are not eagerly cooperating with entrepreneurs and companies to create the internship opportunities for students, host lectures by entrepreneurs and managers in schools, use case studies and assignments for students based on the real needs of specific companies.[24]

In this regard, continuing and scaling up the external initiative which supports schools to understand and teach entrepreneurship better is crucial. In the next chapter, we will discuss how The Association of Entrepreneurs of Slovakia (ZPS) as one of **the key actor in the entrepreneurship education ecosystem engage and supports educational institutions and promote entrepeurial education.**

# THE ASSOCIATION OF ENTREPRENEURS OF SLOVAKIA (EAS) FOR ENTREPRENEURIAL EDUCATION

EAS
ENTREPRENEURS ASSOCIATION
OF SLOVAKIA

The Association of Entrepreneurs of Slovakia (ZPS) is the first association of private entrepreneurs in the modern history of Slovakia and the oldest Slovak business association that has been defending the interests of entrepreneurs since 1989[25]. EAS advocates for reducing the regulation and making the business environment more flexible for the business. Furthermore, EAS improve the image of businesses and entrepreneurs in the non-business public through business competitions, presenting stories of inspirational entrepreneurs and working with ambassadors who proudly subscribe to the "profession" of an entrepreneur. They also implement various campaigns that help improve the perception of business in Slovakia.

**EAS approach** to promoting the development of entrepreneurial skills and entrepreneurship across all levels of education **consists of 2 main pillars**:

[22] Slovac Business Agency. (2019). Analysis of business education, Bratislava, Slovakia
[23] How is the Slovak education system prepared for the industrial revolution?. (2022). ZPS. Retrieved May, 2022, from https://www.npc.sk/sk/aktuality/ako-je-slovensky-vzdelavaci-system-pripraveny-na-priemyselnu-revoluciu/
[24] INFOGRAPHICS: Entrepreneurship and business education. (2020, March 29). https://Www.Zps.Sk/Novinky/2020/Infografika-Podnikavost-Podnikatelske-Vzdelavanie. Retrieved May 24, 2022, from https://www.zps.sk/novinky/2020/infografika-podnikavost-podnikatelske-vzdelavanie
[22] Slovak business association. (2019). What is ZPS-Slovak business association. Retrieved 2022, from https://www.zps.sk/o-nas/co-je-zps




# ADVOCATE FOR STRENGTHENING THE ECOSYSTEM

The advocacy activities of the EAS aim to analyse the current challenges in entrepreneurship education, support research-driven policymaking, and create a platform for discussing, sharing the riences and creating networking opportunities for the ecosystem members. In this regard 2 types of activities are witnessed:

**Co-funded or individual research and communication campaigns:** EAS invest in research targeted the current state of entrepreneurial education and related challenges, as well the broad topics such as the image of entrepreneurship. As an example, a representative survey of the population of the Slovak Republic aged 15-79 was conducted by **Go4insight** in October 2019. More importantly, EAS puts effort to elaborate and communicate the research outcomes. For this purpose, all research outcomes are published on their website as eye-catching and reader-friendly infographics, which give the key outcomes to the reader for further analysis[26].

**Create the platform for sharing the knowledge, analysing problems and drawing solutions:**

One of the priorities I of thw EAS is opening a debate on serious societal problems, promoting clear values on the issues of the functioning of the democratic political system, demographic development, migration, education system, and specifically the entrepreneurial education quality. For this purpose, EAS is organizing various public workshops and webinars to push for the fundamental transformations in education and increase the capacity of schools to teach the entrepreneurial competences. Pursuing this goal EAS with the Slovak Business Agency, Association of Young Entrepreneurs of Slovakia, and Institute of Financial and Business Education has been organising the Conference on Entrepreneurship Education: 'Skills for the Unknown Future which emhasise the importance of the development of the 21-century competencies, including the entrepreneurship. The event primarily was intended for school principals, but now it brings together innovative teachers, representatives of the educational community and entrepreneurs, shortly -the whole ecosystem of entrepreneurial education. Representatives of the private sector and the educational community discuss what and how to teach to prepare graduates for the world to come and professions that do not exist today. Conference conducted 3 times and the next wave is being expected to happen in 2022[27].

---

[26] INFOGRAPHICS: Entrepreneurship and business education. (2020). ZPS. Retrieved May 2022, from https://www.zps.sk/novinky/2020/infografika-podnikavost-podnikatelske-vzdelavanie

[27] How to prepare graduates for the world to come. (2020). ZPS. Retrieved May 2022, from https://www.zps.sk/novinky/2020/pripravujme-absolventov-pre-svet-ktory-pride

# EMPOWER: CREATE OPPORTUNITIES AND INVEST IN THE ACTION

The second pillar of the EAS effort is empowering the ecosystem by establishing the direct supporting mechanisms in two components;

**The first components aim** to provide primary and secondary school teachers with the up to date materials and methodological guidelines to develop the entrepreneurial skills in their subjects. EAS in cooperation with the Slovak University of Technology and the FA Hayek Foundation implemented a unique national project, co-financed by the European Social Fund, "Quality at school - successful in life". The project pursued to create a sustainable system for connecting the needs of companies and secondary school curricula in certain regions, as well as to elaborate on comprehensive materials for teaching "business education" in Slovak secondary schools. Implementation of the project began in January 2007 and lasted almost two years. 1,500 secondary school teachers have been trained and the whole package of the handbooks textbooks has been developed. Overall, schools received the 6 modules related to entrepreneurship containing 150 lessons and 3 DVDs. The project also developed the portal www.svetvzdelavania.SK, which is intended for students, teachers and companies. The project received positive feedback from the community as well as it becomes **one of the winners of the national round of the European Business Awards 2 competition.**[28]

**The second component** is the financing scheme for the projects. EAS funds the projects which aim at developing entrepreneurial skills from an early age, supporting the cooperation among schools and businesses, promoting entrepreneurship and contributing to the teacher's professional development in the field.

In particular, projects that have the potential to deliver longer-term and sustainable results have been supported. At this stage, 12 projects were selected, out of 45. Supported projects will contribute to building entrepreneurship and improving students' soft skills through workshops, innovative camps or video courses. Furthermore, some projects will help them orient themselves in topics such as critical thinking, self-knowledge, creativity or facilitation.[29] Projects will be implemented till the end of the 2022-2023 Academic year.

To summarise, in this case study we analyzed the entrepreneurial education through an ecosystem perspective, and represent how the external actors could influence the whole ecosystem and contribute to the quality development of entrepreneurship education on the example of the Slovakian Business Association advocacy activities. Based on the EAS case, we framed the 2 dimension approach which is result-driven and could be incorporated in any context, regardless of the development level of entrepreneurship and the capacity of the ecosystem.

This case study could be useful for the policymakers, as well as the civic, private and non-governmental organizations to see the added value of the partnership in the ecosystem and develop more inclusive and multidimensional approaches to mobilize the recourse and incentivize the ecosystem throw non-state initiatives.

---

[28] EUROACTIVE. (2016, May 11). Kvalitní v škole – úspešní v živote. euractiv.sk. Retrieved May, 2022, from https://euractiv.sk/section/podnikanie-a-praca/news/kvalitni-v-skole-uspesni-v-zivote-012000/

[29] Entrepreneurs help to adapt school education to the needs of the 21st century. (2020). ZPS. Retrieved May 24, 2022, from https://www.zps.sk/novinky/2021/podnikatelia-pomahaju-prisposobovat-vzdelavanie-na-skolach-potrebam-21-storocia

ანა მენაღარიშვილი, მათიაშ მოლნარი

# ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ

## ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ

ნაშრომი შექმნილია ვიშეგრადის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „მეწარმეობის სწავლება სკოლებში - PEERS“ ფარგლებში. პროექტი გულისხმობს ვიშეგრადის ქვეყნებში მეწარმეობის სწავლებასთან დაკავშირებული საუკეთესო გამოცდილებებისა და პრაქტიკების გაზიარებასა და საქართველოში დანერგვას.

The case study was created within the framework of the project "Potentials of Entrepreneurship Education in Schools – PEERS”. Project aims to transfer best practices and experiences on applying entrepreneurship education in schools in Visegrad countries to Georgia.

# შესავალი

ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, განათლების ტრადიციული ფორმები შრომის ბაზრის მოთხოვნებს ვეღარ პასუხობს. შესაბამისად, სამეწარმეო განათლება თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის არსებით კომპეტენციად მიიჩნევა. „სამეწარმეო კომპეტენციების ჩარჩოს" (Entrecomp) მიხედვით, სამეწარმეო და სხვა უნარები ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების მნიშვნელოვანი კომპონენტია, რასაც, თავის მხრივ, დიდი წვლილი შეაქვს ადამიანის პიროვნულ განვითარებაში. აქედან გამომდინარე, სამეწარმეო კომპეტენციები აერთიანებს არამხოლოდ წარმატებული მეწარმისთვის, არამედ ყველა ადამიანისთვის საჭირო უნარებს, რაც ხაზს უსვამს სკოლებში სამეწარმეო განათლების აუცილებლობას. ევროკომისიის მოთხოვნის მიხედვით, სკოლის დასრულებამდე, მოსწავლისთვის მინიმუმ ერთი პრაქტიკული სამეწარმეო გამოცდილების მიღებაა სავალდებულო. მთელს მსოფლიოში მცირე და საშუალო ბიზნესი ეკონომიკის ზრდის ძირითად მამოძრავებელ ძალად არის მიჩნეული, შესაბამისად, სამეწარმეო უნარებით აღჭურვილ ახალგაზრდა ადამიანს ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში გაცილებით მეტი წვლილის შეტანა შეუძლია.

სამეწარმეო განათლება მსოფლიოს მასშტაბით ერთ–ერთი სწრაფად მზარდი სფეროა. ამ მხრივ, გამონაკლისი არც სლოვაკეთის რესპუბლიკაა. სასკოლო სისტემაში სამეწარმეო განათლების ინტეგრირებას სლოვაკეთის განათლების სამინისტრო ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდანვე მნიშვნელოვნად მიიჩნევს. სლოვაკეთში სამეწარმეო განათლება სკოლის დაწყებით და საშუალო დონეებზეა წარმოდგენილი, მაგრამ სხვა ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, სამეწარმეო განათლების განხორციელება სისტემისთვის გამოწვევად რჩება.

სლოვაკეთის რესპუბლიკა აღიარებს ზოგადი განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ბმის საჭიროებას, შესაბამისად, სამეწარმეო განათლება ახალგაზრდული სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს, სკოლებში, კი - სამეწარმეო განათლების მიმართულებით სხვადასხვა ინიციატივები ხორციელდება. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, დღემდე სამეწარმეო კომპეტენციების სწავლება გამჭოლ კომპეტენციად რჩება.

ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა უმრავლესობას არაერთი კარგი იდეა აქვს სამომავლო საქმიანობისთვის, თუმცა მათი ცოდნა იდეების განსახორციელებლად არასაკმარისია. სლოვაკეთის ბიზნეს სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით[30], სტუდენტების 56% ამჯობინებს იყოს დასაქმებული და არა დამსაქმებელი, რადგან ეს არჩევანი ნაკლები რისკის შემცველი და უკვე გაკვალული გზაა. ამასთანავე, მასწავლებელთა 69% აცხადებს, რომ ისინი მეტისმეტად არიან ორიენტირებული თეორიაზე და პრაქტიკული აქტივობებისთვის დრო აღარ რჩებათ. პედაგოგთა 54% ფიქრობს, რომ არ გააჩნია საკმარისი მასალა მეწარმეობის სათანადოდ სწავლებისთვის. საინტერესოა, რომ მიუხედავად ამ შედეგებისა, გლობალური მეწარმეობის მონიტორის კვლევაში სლოვაკეთი 35–ე ადგილზეა, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა კი სამეწარმეო გარემოს პოზიტიურად აფასებს.

მასალის სიმწირისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვებიდან გამომდინარე სიტუაციის ანალიზის მიზანია, ერთი მხრივ, სლოვაკეთის რესპუბლიკის სკოლებში სამეწარმეო განათლების კუთხით დანერგილი ინიციატივების აღწერა/შეჯამება და მეორე მხრივ, სამეწარმეო განათლების მნიშვნელოვნების კიდევ ერთხელ წინ წამოწევა.

---

[30] https://amcham.sk/media/a542/file/item/en/0000/connection_01_2020_17.6gRm.pdf

# სლოვაკეთის სკოლებში დანერგილი სამეწარმეო პროგრამები „ჯუნიორ ეჩივმენტ სლოვაკეთი“

„ჯუნიორ ეჩივმენტი“ სლოვაკეთის სამეწარმეო განათლების სფეროში ყველაზე კარგად წარმოდგენილი ორგანიზაციაა. იგი სლოვაკეთის სკოლებში არაერთ ინიციატივას ახორციელებს, რომელთა გავლენის მასშტაბი და ბენეფიციართა რაოდენობა საკმაოდ შთამბეჭდავია. 2020–2021 აკადემიური წლისთვის სკოლების სამეწარმეო ინიციატივებში 26 000 მოსწავლეზე მეტი ჩაერთო. მსგავს პროექტებში ყოველწლიურად 600-ზე მეტი სკოლა და ამავე რაოდენობის ბიზნესის სფეროს წარმომადგენელი მონაწილეობს. ინიციატივებში ჩართულობა თანაბრად სასარგებლოა როგორც განათლების, ისე ბიზნეს სექტორისთვის.

**01** **მე და ფული** – საგანმანათლებლო პროგრამა მე და ფული საშუალებას აძლევს დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს, მოსწავლეებს ფინანსური წიგნიერების ცოდნა გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდით გადასცენ. პროგრამის მიზანია, მოსწავლეები გაერკვნენ ფინანსური წიგნიერების ძირითად კონცეფციაში და შეიძინონ ფინანსების მართვისა და დაგეგმვის საწყისი უნარები. პროგრამის სამიზნე ჯგუფია I-IV კლასის მოსწავლეები (დაწყებითი განათლება), ფინანსური განათლების მიღების მსურველი მასწავლებლები და მოსწავლეთა მშობლები.

**02** **ბიზნესის საფუძვლები** – საგანმანათლებლო პროგრამა განკუთვნილია V-VI კლასების მოსწავლეთათვის. პროგრამა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მიიღონ პრაქტიკული ცოდნა ორგანიზაციის მართვის შესახებ, რაც მათ მომავალში შესაძლებლობების მოძიებისკენ უბიძგებს. ხუთი შეხვედრის განმავლობაში, რომელთაგან თითოეულის ხანგრძლივობა 90 წუთია, მოსწავლეებს შეუძლიათ გაეცნონ ხუთ ძირითად საკითხს (ფული, ორგანიზაცია, მენეჯმენტი, წარმოება და მარკეტინგი). შეხვედრებს უძღვებიან მოხალისე ბიზნეს კონსულტანტები, რომლებიც პროგრამის სწავლებისას თეორიას და ბიზნესის პრაქტიკულ სამყაროს ერთმანეთთან აკავშირებენ.

**03** **მეტი, ვიდრე ფული** – პროექტის პირდაპირი სამიზნე ჯგუფია დაწყებითი (I-IV) და საბაზო საფეხურის (VII-IX) მოსწავლეები, ასევე, პედაგოგები და მოსწავლეთა მშობლები. პროგრამის შინაარსი 9 თემატურ ერთეულად იყოფა. მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული დღიური და 300–ზე მეტი პრაქტიკული სავარჯიშო. პროგრამა მიზნად ისახავს მოსწავლეთა შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვას, მომავალში ფინანსების მართვისათვის.

**04** **ციფრული კომპეტენციის კოორდინატორები** – პროგრამის მიზანია მასწავლებელთა აღჭურვა ციფრული კომპეტენციებით, რათა მათ ფეხი აუწყონ თანამედროვეობას. პროგრამის კურსდამთავრებული მასწავლებლები მოსწავლეებს ეხმარებიან როგორც ციფრულ სამყაროში ნავიგაციაში, ისე შრომის ბაზარზე საკუთარი ადგილის პოვნაში. ტრენინგის შედეგად მომზადებული პედაგოგები ციფრული კომპეტენციების დაუფლებაში სხვა მასწავლებლებსაც ეხმარებიან, მიუხედავად მათი საგნობრივი კვალიფიკაციისა. პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ დაწყებითი საფეხურის, პირველი და მეორე კლასების მასწავლებლებს, და რვაწლიანი გიმნაზიის პედაგოგებს.

## High School LEAF[31]

LEAF აკადემია მაღალი საფეხურის საერთაშორისო პანსიონია, რომელიც ცენტრალურ ევროპასა და მიმდებარე რეგიონში მცხოვრებ 14-19 წლის აქტიურ მოსწავლეებს საერთაშორისო დონის განათლებას აძლევს. აკადემია მსმენელებს 2–4 წლიან პროგრამებს სთავაზობს. აკადემიის სამეწარმეო ლიდერობის პროგრამა, გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების გამოყენებით, აერთიანებს რეალურ პრობლემებზე მუშაობას, სიტუაციის ანალიზსა თუ სიმულაციებს და მსმენელებს პრობლემის აღმოჩენას, მის შესაძლებლობად გარდაქმნასა და ბიზნესის წამოწყებას ასწავლის.

## მსოფლიო პრაქტიკული მეწარმეობის ქსელი (PEN)[32]

პრაქტიკული მეწარმეობის ქსელი მიზნად ისახავს მონაწილე ქვეყნების საგანმანათლებლო და სატრენინგო ორგანიზაციების დახმარებას და უნიკალური პრაქტიკული მეთოდოლოგიის – ქმედებაზე დაფუძნებული სწავლების - საშუალებით, ატარებს ტრენინგებს ბიზნესისა და მეწარმეობის უნარებში. ქსელში ჩართულია 40 ქვეყანა, სლოვაკეთის რესპუბლიკის ჩათვლით.

## Internationalisation@Home, მულტინაციონალურ პრაქტიკულ მეწარმეობასთან ერთად

პროექტის მიზანია პრაქტიკული მეწარმეობის ინოვაციური და ინკლუზიური მოდელის კონცეფციის შემუშავება და განვითარება, მულტინაციონალური პრაქტიკული საწარმოების შექმნის გზით. საწარმოები განკუთვნილია პროფესიული განათლების სტუდენტებისათვის, საერთაშორისო გამოცდილების შინ მისაღებად (internationalisation@home). სხვა ქვეყნებში მცხოვრებ თანატოლებთან ერთად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ როგორც სწავლის, ისე მუშაობის, რაც დაეხმარებათ საერთაშორისო ბაზრის საქმიანობის შესახებ ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებაში. პროექტი 2022 წელს დაიწყო და 2024 წელს დასრულდება.

## პარტნიორობა მულტინაციონალური პრაქტიკული მეწარმეობისთვის

პროექტის მიზანია შეიმუშავოს და განავითაროს ინოვაციური და ინკლუზიური მეთოდოლოგია „პრაქტიკული მეწარმეობის" მულტინაციონალური ფილიალებისთვის. INCLUDE (ჩართულობა) სტუდენტებს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა ქვეყნების სტუდენტებთან თანამშრომლობისა და კომუნიკაციის გზით, მიიღონ საერთაშორისო გამოცდილება შინ (internationalisation@home) და კონსორციუმის პარტნიორი სტუდენტური საწარმოების დეპარტამენტებთან თანამშრომლობით, საკუთარი საკლასო ოთახებიდან აამოქმედონ ინკლუზიური „პრაქტიკული მეწარმეობა" სხვადასხვა ქვეყანაში.

პროექტის მიზანია შექმნას მეთოდოლოგია მულტინაციონალური პრაქტიკული საწარმოებისთვის, რაც განაპირობებს მათ მდგრადობას, როგორც ადაპტირების, ისე ინკლუზიურობის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, კონსორციუმი გეგმავს ყველა დაინტერესებულ მხარეს გაუზიაროს მეთოდოლოგიის გამოყენების შედეგები.

სლოვაკეთის რესპუბლიკიდან პროექტში ჩართულია პროფესიული განათლების სახელმწიფო ინსტიტუტი. პროექტი 2022 წელს დაიწყო და 2023 წელს დასრულდება.

[31] https://www.leafacademy.eu/
[32] https://www.penworldwide.org/

## Nexteria ლიდერობის აკადემია[33]

სამწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა განკუთვნილია გამოსაშვები კურსის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის. პროგრამა ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების, მტკიცე ურთიერთობების და ეთიკური ღირებულებების ინტენსიურ განვითარებას სტუდენტებში, ვისაც აქვს ამბიცია და პოტენციალი გახდეს ლიდერი ბიზნესში, IT სფეროში, საჯარო სექტორში, მეცნიერებაში, სამართალში და სხვა შესაბამის სფეროში.

Nexteria ლიდერობის აკადემია დაინტერესებულ პირებს სთავაზობს:

- ✔ პრაქტიკულ გამოცდილებას წამყვანი კომპანიების, ორგანიზაციების და საჯარო სექტორის რეალურ პროექტებში;
- ✔ გამოცდილ პერსონალურ მენტორებს სასურველი სფეროებიდან;
- ✔ მეგობრულ საზოგადოებას - სლოვაკეთზე მზრუნველ 400+ მოტივირებულ ადამიანს;
- ✔ პროფესიულ კურსებს და სამუშაო შეხვედრებს საუკეთესო ლექტორებთან და პრაქტიკოს პედაგოგებთან;
- ✔ არაფორმალურ დისკუსიებს იმ ადამიანების ცხოვრებისა და კარიერის ისტორიის შესახებ, ვისაც, ჩვეულებრივ, ვერ შეხვდებოდით;
- ✔ ეფექტიან პერსონალურ  პროექტს, რომელიც დაგეხმარებათ თქვენს ირგვლივ ცვლილებების გამოწვევაში.

აღნიშნული პროგრამის გავლა, საუნივერსიტეტო პროგრამასთან ერთად, ან მის ნაცვლად არის შესაძლებელი. გამოტოვებული წელი ან შეცვლილი სკოლა პრობლემას არ წარმოადგენს. კურსში, დისკუსიაში თუ სტაჟირების პროგრამაში ჩართულობისათვის კანდიდატს ენიჭება ქულები. თითოეულ სემესტრში საჭირო ქულების მინიმალური რაოდენობა 75%-ს შეადგენს. კურსი სამი წლის შემდეგ სრულდება, რის შედეგადაც გაიცემა დიპლომი და სხვადასხვა ტიპის საზოგადოებრივი სარგებელი.

## სლოვაკეთის ბიზნეს სააგენტო

სლოვაკეთის ბიზნეს სააგენტო მცირე და საშუალო მეწარმეობის (SME) მხარდამჭერი უმნიშვნელოვანესი და უძველესი სპეციალიზებული არასამთავრობო ორგანიზაციაა. სააგენტო 1993 წელს დაფუძნდა, ევროკავშირისა და სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივი ინიციატივით. ესაა უნიკალური პლატფორმა, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორისთვის. სლოვაკეთის ბიზნეს სააგენტო ამჟამად მხარს უჭერს სამეწარმეო განათლების და სამეწარმეო უნარების განვითარებას საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პედაგოგთა კორპუსს შორის.

## სლოვაკეთის ახალგაზრდა მეწარმეთა ასოციაცია (YEAS)

როგორც წესი, ახალგაზრდები იდეების ნაკლებობას არ უჩივიან, მაგრამ აქვთ არასაკმარისი ცოდნა, კონტაქტები და კაპიტალი. სლოვაკეთის ახალგაზრდა მეწარმეთა ასოციაციის ამბიციური სურვილია ამ ვითარების გასაუმჯობესებლად სხვადასხვა აქტივობები განახორციელოს.

სლოვაკეთის ახალგაზრდა მეწარმეთა ასოციაციის მისიაა ახალგაზრდა ადამიანების მობილიზება, მათთვის მეწარმეობის, როგორც ცხოვრების წესის გაცნობა, და ამავდროულად, მხარდაჭერა ინოვაციური და ორიგინალური იდეების განხორციელებისას. ამასთან, ასოციაცია მხარს უჭერს სკოლებში სამეწარმეო განათლების მიმართულებით განხორციელებულ ინიციატივებს.

[33] https://nexteria.sk/nla/

## სხვა ინიციატივები

ზემოთ აღწერილი ინიციატივების გარდა, არსებობს სხვა ორგანიზაციებიც, რომლებიც სამეწარმეო განათლების მხარდაჭერას სლოვაკეთის სკოლების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა პროგრამების, ტრენინგების თუ კონკურსების საშუალებით ცდილობენ. მაგ: სლოვაკეთის ინვესტიციებისა და ვაჭრობის განვითარების სააგენტო, Prosight Academy და ა.შ.

## ინტერვიუები პედაგოგებთან და მოსწავლეებთან

პროგრამის ზოგადი მიმოხილვის გარდა, სიტუაციის ანალიზისას, ჩატარდა ინტერვიუები მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან. რესპოდენტებმა სამეწარმეო განათლებასთან დაკავშირებულ 10 კონკრეტულ შეკითხვას უპასუხეს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა საინტერესო გარემოება: როგორც მასწავლებლები, ისე მოსწავლეები სამეწარმეო და ბიზნეს უნარებს ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევენ, რადგანაც მათ განიხილავენ მომავლის უნარებად. მეტიც, გამოკითხულ პირებს მიაჩნიათ, რომ რაც ადრე დაიწყება ამ უნარების შესწავლა და ბიზნესის კეთების ზოგადი კონტექსტის გაცნობა, მათ შორის საკანონმდებლო დონეზე, მით მეტად გაიოლდება სტუდენტებისთვის მომავალში საკუთარი ბიზნესის წამოწყება. დადებითი დამოკიდებულებაა ბიზნესის კეთების მიმართაც. სტუდენტები თვლიან, თუ საკუთარი ბიზნესი გაქვს, ბევრად თავისუფალი ხარ და საკუთარ დროსაც უკეთ მართავ, რაც სხვა პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის კარგი საშუალებაა.

რესპონდენტებმა ინტერვიუსას მიუთითეს სამეწარმეო განათლების მიმართულებით მათი სკოლების მიერ შეთავაზებული შესაძლებლობები, რომელთა მეშვეობითაც „ჯუნიორ ეჩივმენტი“ ყველაზე რელევანტურ პროგრამად დასახელდა. სტუდენტებს საკუთარი პროდუქციის შექმნა და გაყიდვა, ასევე საკუთარი საინვესტიციო კომპანიის ჩამოყალიბება უხდებათ, სადაც მნიშვნელოვან გამოცდილებას იღებენ. გარდა ამისა, თუ მესამე საფეხურზე სამეწარმეო ინფორმაცია მსმენელებს ზოგადი სახით მიეწოდება, მეოთხე საფეხურზე მარკეტინგისა და ეკონომიკის და სხვა შესაბამისი სპეციალიზებული სწავლება მიმდინარეობს. ასე რომ, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გამოწვევებს გლობალურად შეხედონ და საქმიანი გადაწყვეტილებები მიიღონ.

სტუდენტებს სკოლის ბაზაზე საკუთარი საწარმოს დაფუძნებაც შეუძლიათ, სადაც მათ სამუშაო პროცესში სრულყოფილად ჩართვა ევალებათ. ისინი აფუძნებენ კომპანიას, აყალიბებენ მენეჯმენტის ჯგუფს და სამუშაო გუნდს, ირჩევენ სამეწარმეო პროდუქტს და ზრუნავენ მარკეტინგსა და გაყიდვებზე. ამ ციკლს თავიდან ბოლომდე ხელმძღვანელობს პედაგოგი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში, პროცესში ჩარევა და რჩევის მიცემა შეუძლია.

წარმოებული პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული თანხაც პედაგოგის მიერ კონტროლდება და ადმინისტრაციულ ხარჯებსა და საწარმოს მდგრადობის შენარჩუნებაზე ნაწილდება. აკადემიური წლის ბოლოს, სტუდენტები რეგისტრირებულ კომპანიას ხურავენ.

# დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ სამეწარმეო განათლება სლოვაკეთის რესპუბლიკისთვის ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. თუმცა, სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების მეშვეობით, პრობლემა თანდათან აღმოიფხვრის გზაზე დგას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოება და სახელმწიფო აცნობიერებენ სამეწარმეო განათლების მნიშვნელოვნებას და აგრძელებენ აქტიურ მუშაობას ამ მიმართულებით. თუმცა, გასათვალისწინებელია საჭირო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, სახელმძღვანელოების მრავალფეროვნების არ არსებობა, ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობის აუცილებლობა.

Anna Menagharishvili, Matyas Molnar

# TEACHING ENTREPRENEURSHIP IN SLOVAK SCHOOLS

## CASE STUDY

# INTRODUCTION

Nowadays it is strongly believed that traditional forms of education no longer meet the labor market requirements therefore entrepreneurship education is considered an essential competence in the general education system. According to “Entrecomp: the Entrepreneurship Competence Framework” entrepreneurial skills and other competencies significantly contribute to future personal growth and represent an essential component of a knowledge-based society. Accordingly, skills combined under entrepreneurial competencies are needed not only for a successful entrepreneur but also for each person, highlighting the need for entrepreneurship education in schools. A student should be able to benefit from at least one practical entrepreneurial experience before leaving school. Once you have a young person armed with entrepreneurial skills, the chances of them contributing to countries economic growth is much higher as small and medium enterprises are considered a key driver of economic growth worldwide.

Entrepreneurship education is one of the fastest-growing fields around the world and Slovakia is no exception, therefore including entrepreneurship education at the school level is essential for the Ministry of Education in Slovakia since the country became independent and it is represented in the primary and secondary education levels, but unlike other European countries implementing entrepreneurship education at school level remains challenging for the system. Because everyone agrees that helping to develop entrepreneurship translates into economical growth there are several initiatives implemented regarding entrepreneurship education at schools around Slovakia. As mentioned before the importance of entrepreneurial education is acknowledged at the State level and is part of the youth strategy but entrepreneurship education stays as a cross-curricular objective till now. The state acknowledges the need of linking general education with labor market requirements.

Much younger generation people have good ideas about what they want to do in the future; however, they lack the right knowledge or background to make their ideas possible. According to the research done by Slovak Business Agency[34], 56 % of students choose to be an employee, instead of an employer, because that is the safer choice, the paved road for them. At the same time, 69% of teachers report that they focus on too much theory and have no time for actual activities, and 54% of them think that they don't have enough materials to teach entrepreneurship properly. Despite these results, Slovakia ranks 35th on the Global Entrepreneurship Monitor study, and the majority of the Slovak population tends to evaluate the entrepreneurial environment positively.

The purpose of the case study is, on the one hand, to summarize and describe the initiatives aimed at entrepreneurial education in schools of the Slovak Republic, and on the other hand, to highlight the need for paying more attention to entrepreneurial education.

[34] https://amcham.sk/media/a542/file/item/en/0000/connection_01_2020_17.6gRm.pdf

# ENTREPRENEURIAL PROGRAMS IMPLEMENTED IN SLOVAK SCHOOLS: **JUNIOR ACHIEVEMENT SLOVAKIA**[35]

Junior Achievement seems to be the most well-represented organization in the field of entrepreneurship education which is implementing a couple of initiatives around Slovak schools, the numbers of beneficiaries they have and the impact they made are quite impressive. In the 2020-2021 academic years, more than 26,000 students were involved in school entrepreneurial initiatives and each year more than 600 schools and 600 professionals from business sectors are involved in the projects of Junior Achievement. Involvement in such initiatives equally benefits the educational and business sector.

01 **Me and Money** - The educational program Me and Money offers primary school teachers the opportunity to educate their students in the field of financial literacy through experiential learning. The program aims to teach students to orient themselves in the basic concepts of financial literacy and to acquire basic skills for effective management and planning of their financial future. The program targets students from 1st to 4th grade (Primary School), teachers who express willingness to learn more about finances, and also parents.

02 **The Basics of Business** – the educational program is for the 5th and 6th graders where students get a great chance to get practical knowledge about how organizations operate, which in the future encourages them to seek opportunities. The five main topics (money, organization, management, production, and marketing) are presented to students during five ninety-minute meetings by volunteer business consultants who teach the program while providing contact between economic theory and the practical world of economics and business.

03 **More than money** - The primary target group of the project is students in the 7th and 9th grades of primary schools and students in the 1st - 4th grades of secondary schools, also teachers and parents. The content of the program is divided into 9 thematic units; interactive e-textbook and more than 300 practical exercises are also available for teachers. The program aims to arm students to better navigate their finances in the future.

04 **Digital competence coordinators** – The program aims to arm teachers with digital competencies so that they will be able to catch up with modern times, help students to navigate in a digital world, and help them find their place in the labor market. Also, trained teachers will be able to help other teachers to develop digital competencies regardless of their teaching fields. Teachers of 1st and 2nd grades of elementary schools and teachers of 8year gymnasium are eligible to participate in this program.

## High School LEAF[36]

LEAF Academy is an international boarding high school, which provides a world-class education for students who are active, between the ages of 14 to 19, and are from the central European region and beyond. Programs offered by the academy last 2 or 4 years. They have an Entrepreneurial leadership program that combines working on real problems with experiential learning, case studies, and simulations and teaches a student to see the problem, turn it into an opportunity, and start to do a business.

[35] https://www.jaslovensko.sk/
[36] https://www.leafacademy.eu/

## PEN Worldwide[37]

The Practice Enterprise Network aims to help education and training organizations in participating countries to deliver training in business and entrepreneurship skills through the unique Practice Enterprise methodology of learning-by-doing, 40 countries including the Slovak Republic are engaged in the network.

## Internationalisation@Home with Multinational Practice Enterprises

The aim of the project is to design and develop an innovative and inclusive model of the Practice Enterprise concept by creating multinational Practice Enterprises for VET students to experience an internationalisation@home. Students get the opportunity to work and learn with their peers from other countries and enrich their knowledge and skills about how an international market works. The project started in 2022 and will finish in 2024.

## Partnership for Multinational Practice Enterprise

The project aims to design and develop an innovative and inclusive Practice Enterprise methodology for multinational branches of Practice Enterprises. INCLUDE provides a way for students to experience an internationalisation@home while cooperating and communicating together with students from other countries, operating an inclusive Practice Enterprise across borders, with departments of the same student enterprise operating from classrooms across the consortium partners. The aim is to produce a multinational branch Practice Enterprise methodology that is sustainable, both in terms of adaptability and inclusivity, as the consortium aims to share the methodology with any school interested in the results. The State Institute for Vocational Education is engaged in this particular project from the Slovak Republic, the project started in 2022 and will finish in 2023.

## Nexteria Leadership Academy[38]

It is a 3-year educational program primarily for active undergraduates and graduates - which intensively develop practical skills, strong relationships and ethical values in a narrow and diverse group of students who have the ambition and potential to be leaders in business, IT, public sector, science, law and other important areas of society.

Nexteria Leadership Academy offers:

- ✓ Real projects in practice in top companies, organizations, and the public sector
- ✓ An experienced personal mentor from an area where you want to improve faster
- ✓ Friendly community, 400+ inspiring people who care about Slovakia
- ✓ Professional courses and workshops with the best lecturers and lecturers from practice
- ✓ Tie-free discussions about life and career stories of people you don't normally meet
- ✓ Own useful project which will help you change something that matters to you

You can complete the NLA program in addition or instead of any university, gap year or school change is not a problem. For courses, discussions, internships, etc. you get points, you need min. 75% points per semester. After 3 years, graduations await you, you will receive a diploma and community benefits for life.
Slovak Business Agency

[37] https://www.penworldwide.org/
[38] https://nexteria.sk/nla/

Slovak Business Agency (till 28/2/2014 the National Agency for Development of SMEs) is crucial and is the oldest specialized non-profit organization for the support of small and medium-sized enterprises (SMEs). Slovak Business Agency was founded in 1993 by a common initiative of the EU and the Government of the Slovak Republic. It is a unique platform for the public and private sectors. Slovak Business Agency currently supports the development of Entrepreneurship education and the aim of this service is to reward projects aimed at building entrepreneurship and entrepreneurial skills in kindergarten pupils, students, graduates, and teaching staff.

## Young Entrepreneurs association Slovakia

Young people are usually not suffering from a lack of new ideas, but they are missing know-how, contacts, and capital. Young Entrepreneurs Association of Slovakia has the ambition to do activities, which might be helpful to make these conditions better.

The mission of the Young Entrepreneurs Association of Slovakia is to mobilize young people, present their entrepreneurship as a lifestyle, and at the same time help with the implementation of their original and innovative business ideas. YEAS supports initiatives implemented regarding entrepreneurship education at schools in the Slovak Republic.
Other Initiatives

In addition to the initiatives described above, there are various organizations that try to support entrepreneurial education at different levels in Slovak schools through various programs, training, or competitions, for example, Slovak Investment and Trade Development Agency, Prosight Academy, and so on.

## Interviews with Teacher and Student

In addition to a general overview of the programs, interviews with the teacher and student were conducted during the case writing process. They were asked to answer 10 specific questions related to entrepreneurship education. The most interesting thing that emerged based on the answers was that caring for the development of entrepreneurship and business skills is considered a very important factor by both teachers and students. These skills as skills are seen as the skills of the future. Moreover, they believe that the earlier we start teaching these skills and getting to know the context of doing business in general, including at the legislative level, the easier it will be for students to start their businesses in the future. There is also a positive attitude towards doing business, the student believes that if you have your own business you will be freer and you will manage your time yourself, which will allow you to develop other practical skills.

Respondents also mentioned what opportunities their school offers in terms of entrepreneurship education and as it turned out the junior achievement program is the most relevant. Students have to create and sell their products and also create their own investment company where they gain significant experience. In addition, in the third grade, entrepreneurial information is provided in a very general way, while in the fourth grade, it is provided specifically in marketing, economics, etc. and students can look at the challenges globally and think of an entrepreneurial solution.

Students also get a chance to establish their enterprise on a school basis where they have the opportunity to be fully involved in the work process. They establish the company, take care of forming the company's management team and working team, choose the product to be sold and take care of marketing and sales. This whole cycle is of course supervised by the teacher, and if necessary, the teacher is the person who can intervene in the process and give advice.

The amount received from the sale of manufactured products is also controlled by the teacher and distributed accordingly to the administrative expenses and also to maintain the sustainability of the enterprise. At the end of the academic year, students close the registered company.

# CONCLUSION

In conclusion, it can be said that entrepreneurship education remains a challenge for the Slovak Republic. However, the problem is gradually being eliminated through various programs and projects. The school community and the state must realize the importance of entrepreneurial education and continue active work in this direction. However, it is necessary to consider the lack of access to the required information, the lack of variety of manuals, and the need to work on raising awareness.

სოციალური ინოვაციები
socialinnovation.ge

SKOLA-LAB
სკოლა-ლაბი

MEOUT
group

CENTRUM PRO PODPORU
PODNIKÁNÍ A ZAMĚSTNANOSTI